ქართული რომანტიზმის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინამძღვრები

DOI:10.36962/ECS106/9-10/2024-24

რევაზ ასათიანი
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

გურამ როგავა
იურისტი, ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ელიზაბედ ღაძაძე
სტაჟიორი

რეზიუმე

სტატიაში განმარტებულია ქართული რომანტიზმი, მისი წარმოშობის პერიოდი და გავლენა არამარტო ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებაზე (ფერწერა, მუსიკა, არქიტექტურა და სხვ.), არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. განხილულია საქართველოში რომანტიზმის გამოვლენის ფორმები, რაც განპირობებული იყო მთელი რიგი პროცესებით, მათ შორის, გეოპოლიტიკური მოვლენებით და სოციალურ-ეკონომიკური წინამძღვრებით. გაანალიზებულია კონკრეტული წინაპირობები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ქართული რომანტიზმის ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, 1801 წელს საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება; 1804 წლის მთიულეთის აჯანყება; 1812 წლის კახეთის გლეხთა აჯანყება; 1819 წლის ამბოხება იმერეთში და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და სხვა.

განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ქართულ საზოგადოებას შეადგენდა თავადაზნაურობა, ქალაქის მოსახლეობა, ვაჭრები, წვრილი მეწარმეები და გლეხობა. მათმა გაუსაძლისმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ და ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილმა გარკვეულწილად განაპირობა ქართველ რომანტიკოსთა ბრწყინვალე წარმომადგენლების გამოჩენა, რომლებმაც თავიანთი შემოქმედება იარაღად გამოიყენეს რუსეთის იმპერიის მმართველობის წინააღმდეგ, რაც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურებოდა.

საკვანძო სიტყვები: რომანტიზმი, სახელმწიფოებრიობა, აჯანყება, დამოუკიდებლობა, სოციალური ყოფა, თავადაზნაურობა, წვრილი მეწარმეები, ეკონომიკური მდგომარეობა, გადასახადები.

შესავალი

რომანტიზმის არსი. ერთ-ერთი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც ქართულმა მწერლობამ გაიზიარა, რომანტიზმია. სხვა მიმდინარეობებთან შედარებით, რომანტიზმი ეწინააღმდეგებოდა კლასიციზმის პრინციპებს, რადგან კლასიციზმი მნიშვნელობას ანიჭებდა წესრიგს, ემოციების კონტროლს და დისციპლინას, ხოლო რომანტიზმი აღნიშნავს თავისიფლებას, ინდივიდუალურობას, თვითრეალიზებას და მთავარ ადგილს უთმობს წარმოსახვასა და გრძნობებს. რომანტიზმი მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა და მწერლობისა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგი მოიცვა. მან სხვადასხვა ქვეყნებში გავლენა მოახდინა ხელოვნების ყველა სფეროზე, მათ შორის ფერწერაზე, მუსიკაზე, არქიტექტურაზე და სხვ. რომანტიზმი ყველა ქვეყანაში თავისებურად განვითარდა, თუმცა მოტივი და ეროვნული საფუძვლები

ასე თუ ისე საერთო იყო. თვითონ სიტყვა რომანტიზმი დაკავშირებულია ფრანგულ სიტყვასთან "romantisme", რაც თავდაპირველად ნიშნავდა "რომანის" სტილს და უკავშირდებოდა შუა საუკუნეების რომანულ ლიტერატურას, რომელიც გმირულ ისტორიებსა და ეპიკური თავგადასავლების აღწერას მოიცავდა.

ძირითადი ტექსტი

რომანტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანს, მიუხედავად ცხოვრებისეული გამოწვევებისა, შეუძლია საკუთარი ბედი შეცვალოს და მასზე გავლენა მოახდინოს. ქართული რომანტიზმის წარმომადგენლებმა საკმაოდ საინტერესო და მდიდარი ხელოვნება შექმნეს. თავიანთ ნაწარმოებებში, ხელოვნებასა და პოეზიაში, სრულიად ახალი სტანდარტები დაამკვიდრეს. თუ როგორ გამოვლინდა რომანტიზმი საქართველოში იმ ფორმით, რა ფორმითაც გამოვლინდა, ამას მთელი რიგი პროცესები, მათ შორის, გეოპოლიტიკური მოვლენები და სოციალურ-ეკონომიკური წინამძღვრები განსაზღვრავდა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება. ქართული რომანტიზმის ბიძგის მიმცემი 1832 წლის შეთქმულება იყო. თუმცა, ვიდრე შეთქმულებამდე მივალთ, არსებობს კონკრეტული წინაპირობები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მასზე. კერძოდ:

- **1801 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივის გაუქმება;**
- **1804 წელს მთიულეთის აჯანყება;**
- **1812 წელს კახეთის გლეხთა აჯანყება;**
- **1819 წელს ამბოხება იმერეთში.**

ზემო აღწერილი საერთო-სახალხო აჯანყებები მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ აღვიძებდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცნობირებას და წარმოადგენდა ძალას კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საქართველოს სახელმწიფოებრივის გაუქმება. ყველაფერი კი იწყება საქართველოს სახელმწიფოებრობის გაუქმებით. 1801 წლიდან 1917 წლამდე საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. 1801 წელს, რუსეთში მეფობდა პავლე პირველი, რომლის შვილები, ნიკოლოზ პირველი და ალექსანდრე პირველი იყვნენ ტახტის შემდეგი მემკვიდრეები. 1801 წლის 18 იანვარს, გამოქვეყნდა პავლე პირველის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. მანიფესტის გამოცხადება ნიშნავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებას და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას გუბერნიების სტატუსით. გუბერნია ნიშნავდა ადმინისტრაციულ რეგიონს, ან ტერიტორიას, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი იყო. 1801 წლის მარტში პავლე პირველი სასტიკად მოკლეს, რამაც ხელი შუეშალა მანიფესტის გამტკიცებას. სამაგიეროდ, პავლე პირველის სიკვდილის შემდეგ, გამეფდა მისი პირველი ვაჟი, ალექსანდრე პირველი. ალექსანდრე პირველის მმართველობის დროს ქართლ-კახეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა, რადგან გამოცხადდა ახალი მანიფესტი იმავე დანიშნულებით, რაც პავლეს ჰქონდა. თბილისში მანიფესტი მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილს გამოცხადდა. ბაგრატიონთა სახლი და ქართველთა თავადაზნაურობა მანიფესტის გასაცნობად სიონის საკათედრო ტაძარში მიიწვიეს და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცის დადება უბრძანეს. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართული სახელმწიფოს გაუქმება. მისი ანექსია არამხოლოდ რუსულ გავლენას ნიშნავდა, არამედ მთელ აღმოსავლეთ და ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოს სრულ კონტროლს და ქართული სახელმწიფოს გაქრობას.

1802 წლის 8 მაისს რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო ახალი მთავრობის ფორმირება. ალექსანდრე პირველი ერთი შეხედვთ თითქოს "ითვალისწინებდა" ლიბერალურ რიტორიკებს, მათ შორის, ხშირად საუბრობდა ხალხისთვის ხმის მიცემის უფლებაზე და გადასახადების შემცირებაზე, მაგრამ სინამდვლეში ის აბსოლუტურ მონარქიას ინარჩუნებდა. ამასთან ერთად, იგი ცდილობდა ხელისუფლების თვითმპრყობელური ფორმის ძირითადი სტრუქტურები შეენარჩუნებინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეფე ყველა საქმეს განაგებდა.

მთიულეთის აჯანყება. გლეხობა რუსეთის ახალი ხელისუფლებისგან, ბატონყმობის სიმძიმის

შემსუბუქებას ელოდა, მაგრამ ცარიზმმა საქართველოში პირიქით, განამტკიცა ბატონყმობა. ეს მძიმედ გადასატანი იყო გლეხობისთვის, რადგან რუსული იმპერიის გლეხები (ყმები) გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე საქართველოში. ისინი წოდებრივი ნიშნით იჩაგრებოდნენ, რასაც არაეროვნული, ანუ რუსული სისასტიკე ემატებოდა. ქართული ეკლესიაც შევიწროებას განიცდიდა რუსული ეგსარხოცების (რუსული ეკლესიის დანიშნული მმართველები) თავაშვებულობის გამო. მთიანეთში იგრძნობოდა რუსი ჯარისკაცების თვითნებობა და თავაშვებულობა: მოსახლეობის შეურაცხყოფა, ცემა, დამცირება, ქალების გაუპატიურება ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული. იყო შემთხვევები, როცა რუსმა ჯარისკაცებმა ქალები უღელში შეაბეს და მათრახებით ცემეს. სამუშაოდ გასული მთიულებიდან რუსმა ჯარისკაცებმა ცემით მოკლეს 23 გლეხი. აუტანელი ჩაგვრის შედეგად 1804 წლის მაისს აჯანყდნენ მთიული გლეხები.

აჯანყების დროს, მთიულებმა აიღეს სტეფანწმინდა და გადაკეტეს დუშეთის სამხედრო გზები, მოკლეს რუსი კაპიტან-ისპრავნიკი, დახოცეს რუსი ჯარისკაცები და ა.შ. აჯანყების მოთავეთა შორის გამოირჩეოდნენ ლევან ნაზღაიძე, შიო ბურდული და სხვები, რომლებსაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენა სურდათ. ამ აჯანყებაში მონაწილეობდა 18 წლის ალექსანდრე ჭავჭავაძეც. საბოლოოდ კი, პავლე ციციანოვმა, საქართველოს მთავრსარდალმა და რუსეთის მეფის პოლიტიკის ერთგულმა მხარდაჭერმა, ალექსანდრე პირველის ბრძანებით, აჯანყება მწარედ ჩაახშო. შეპყრობილი იულონი და ფარნაოზ ბატონიშვილები რუსეთში გადაასახლეს, შეიპყრეს და ციხეში გამოკეტეს ბატონიშვილების მომხრე თავადები. სულ ციხეში აღმოჩნდა აჯანყების 300-ზე მეტი მონაწილე.

თუმცა, მთიულების აჯანყება თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. მან გამოავლინა ქართველი ხალხის ბუნებრივი სწრაფვა დამოუკიდებლობისა და სამართლიანობისკენ. მთიულები თავიანთი ტრადიციული თავისუფლების დაცვას ცდილობდნენ, ეწინააღმდეგებოდნენ უცხო მოდგმის ძალადობას და არღვევდნენ რუსეთის იმპერიის მიერ დაწესებულ წესრიგს. მათი სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე აჯანყების დროს განასახიერებდა წინააღმდეგობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეალს. ეს ამბოხება მოგვიანებით კი იქცა შთაგონების წყაროდ სხვა ეროვნული მოძრაობისთვის.

კახეთის გლეხთა აჯანყება. ამასობაში, გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მთელ საქართველოში, მათ შორის კახეთშიც, ძალიან გაუსაძლისი იყო. ისინი იძულებით აგროვებდნენ პურს დაბალ ფასად (რაც ნიშნავდა იმას, რომ ცოტას უხდიდნენ პურის შეგროვებაში) და ამავდროულად, ორი წლის განმავლობაში იყო სასოფლო-სამეურნო კრიზისი ცუდი მოსავლიანობის გამო. ამ სიტუაციამ გლეხების მდგომარეობა გააუარესა, რადგან მათ აღარ შეეძლოთ საკმარისი საკვების წარმოება. ამასობაში, 1812 წლის 22 ივნისს, ნაპოლეონი მოულოდნელად უტევს რუსეთს და ისარგებლეს რა ამ სიტუაციით, კახთა გლეხები იმავე წლის 31 იანვარს აჯანყდნენ სოფელ ახმეტაში და მოედნენ მთელ კახეთს. აჯანყება თავიდან წარმატებული იყო, გლეხებმა მოკლეს 16 ოფიცერი, 300 სამხედრო, ხელთ იგდეს ტყვეები და სამხედრო ალაფი. აჯანყებულებმა დაიკავეს თელავი, სიღნაღი, გაიმარჯვეს ბრძოლაში ბოდბისხევთან, სადაც 2 ოფიცერი და 212 რუსი ჯარისკაცი მოკლეს. ზაფხულში აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ბატონიშვილი. ის ირანიდან ფარულად დაბრუნდა საქართველოში და თიანეთში დაბანაკდა 100-კაციანი რაზმით. საბოლოოდ, საქართველოს მთავარმმართებელი ალექსეი პეტროვიჩი, კახეთისკენ დაიძრა და აჯანყება სამ წელიდაში, 1813 წელს, დაასრულა. ალექსანდრე ბატონიშვილმა კი თავი ხევსურეთს შეაფარა. შედეგად, 90-ზე მეტი თავადაზნაური გადაასახლეს, ხოლო მათი მამულები ხაზინას, სახელმწიფო ქონების სახით გადაეცა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, იმერეთის აჯანყება. ქართული ეკლესია ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთელ მანძილზე მისი ეროვნული მთლიანობის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. ამიტომ ცარიზმმა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი აპარატის მოშლისა და რუსული მმართველობის დამკვიდრების კვალდაკვალ, ქართულ ეკლესიას შეუტია. 1811-1814 წლებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გაუქმდა კათალიკოს-პა-

ტრიარქის ტახტი, გაუქმდა საუკუნეების წინ მიღებული ქართული ავტოკეფალია (დამოუკიდებელი მართლმადიდებლური ადგილობრივი ეკლესია). ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გარდაიქმნა. ეგზარქოსი რუსული ეკლესიის მღვდელმთავარს ნიშნავდა. პირველი ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი ცარიზმმა გადააყენა და რუმინეთში გაიწვია იმ საბაბით, რომ იგი აქტიურად არ იბრძოდა ახალი კანონის პრაქტიკული განხორციელებისათვის. წირვა-ლოცვა შემოღებული იქნა რუსულ ენაზე. ამ ღონისძიებას წინ აღუდგნენ ეკლესიის მეთაურები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, მათ შორის იმერეთის ერისთავები და სასულიერო პირები.

დაიწყო აჯანყება იმერეთში, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და ქართველთა ეროვნული წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცა. ახალი წესრიგი და გადასახადები მოსახლეობაში უკმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ განსაკუთრებულად დიდი აღშფოთება გამოიწვია რუსეთის მცდელობამ, უფრო მკაცრი კონტროლი დაეწესებინა ეკლესიისთვის და ჩამოერთმია მისთვის მიწები და პრივილეგიები. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც რუსეთის იმპერია ცდილობდა საქართველოს სრული ასიმილაციისთვის კულტურული და რელიგიური ტრადიციების მოსპობას.

აჯანყება დაიწყო 1819 წელს გელათის მონასტერში, რომელიც იმერეთში ერთ-ერთი მთავარი რელიგიური და კულტურული ცენტრი იყო. სამღვდელოებამ და ადგილობრივმა მმართველმა ელიტამ უარი თქვეს რუსეთის ხელისუფლების მიერ დაწესებულ რეფორმებზე, რომლებმაც ეკლესიას მიწები ჩამოართვეს. მონასტერში შეკრებილებმა აქტიურად დაიწყეს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის ორგანიზება. აჯანყება სწრაფად გავრცელდა მთელ იმერეთში და მას შეუერთდნენ არა მარტო ეკლესიის მსახურები, არამედ ადგილობრივი თავადები და გლეხებიც, რომლებიც რუსეთის მიერ დაწესებული მძიმე გადასახადებისა და ახალი წესრიგის წინააღმდეგნი იყვნენ. აჯანყებულებმა არაერთხელ სცადეს რუსული ადმინისტრაციისგან დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ რუსეთის იმპერიის ძალა ბევრად სჭარბობდა მათ ძალებს. რუსეთმა აჯანყების ჩასახშობად დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით ჯარის მობილიზება მოახდინა. საბოლოოდ, 1820 წელს, რუსეთის ჯარმა ჩაახშო აჯანყება და მკაცრი რეპრესიები დააწესა იმერეთში, მათ შორის მრავალი მღვდელი და თავად-აზნაურები გადაასახლეს ან სიკვდილით დასაჯეს, რუსეთის იმპერიამ გააძლიერა კონტროლი იმერეთის რეგიონზე და განამტკიცა თავისი სამხედრო ძალა.

1832 წლის შეთქმულება მნიშვნელოვანი მოვლენაა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადეობრივ ისტორიაში. შეთქმულებების წევრები გეგმავდნენ არეულობისა და წინააღმდეგობის გაწევას. გეგმის დეტალები ფარულად ინახებოდა, რათა რუსულ სპეცსამსახურებს ვერ დაეკავებინათ ისინი. შეთქმულება განვითარდა იმ უკმაყოფილების ფონზე, რომელიც საქართველოში წარმოიქმნა 1819-1820 წლის იმერეთის აჯანყების შემდეგ, როდესაც რუსეთმა გაამკაცრა კონტროლი და მოახდინა პოლიტიკური რეპრესიები. საიდუმლო საზოგადოება 1825 წელს, პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლებული ბატონიშვილების – ფარნაოზის, ოქროპირის და დიმიტრის ინიციატივით შეიქმნა. მათ შუამავლად რესპუბლიკური მმართველობის მომხრე სოლომონ დოდაშვილი გამოდიოდა.

სოლომონ დოდაშვილი იყო ქართველი ისტორიკოსი, ჰუმანისტი, პედაგოგი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული მოძრაობის განვითარებაში 19-ე საუკუნეში. იგი განსაკუთრებით პოპულარული გახდა, როგორც ერთ-ერთ ლიდერი 1832 წლის შეთქმულებისა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის იმპერიის მმართველობის წინააღმდეგ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ემსახურებოდა. დოდაშვილი იყო განათლებული ადამიანი, რომელიც ცდილობდა ეროვნული აზროვნების და თავისუფლების იდეების გავრცელებას ახალგაზრდებში. ამასთან, იგი იყო რუსული და ევროპული კულტურისა და განათლების მიმართულების მიმდევარი, რაც მას ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვან ფიგურად ხდიდა.

1820 წელს გლეხის წოდებიდან გამოსულმა მღვდლის შვილმა დაამთავრა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელი, 1822 წელს თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1824-1827 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. იქვე და-

წერა თავისი ცნობილი ფილოსოფიური ნაშრომი „ლოგიკა“. პეტერბურგში ყოფნისას გაიცნო და დაუახლოვდა თეიმურაზ, ბაგრატ და იოანე ბატონიშვილებს და სხვებს. მან პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა 1827 წელს და მიენიჭა ფილოსოფიის მაგისტრის წოდება.

1832 წელს შეთქმულების მონაწილეებს საქართველოს მეფედ სწორედ იმ ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევა ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომელიც ქართლ-კახეთის ამბოხებას ედგა სათავეში. ამბოხებულთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ აჩქარება საჭირო არ იყო, სხვები - დაუყოვნებელ შეიარაღებულ აჯანყებას უჭერდნენ მხარს. აჯანყებისთვის დანიშნულ ვადაზე 11 დღით ადრე, შეთქმულების ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი და თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ძმა იასე ფალავანდიშვილი კავკასიის ჯარების კორპუსის უფროსის მოადგილე გენერალ ვოლხოვსკისთან გამოცხადდა და შეთქმულება გასცა. 10-11 დეკემბერს შეთქმულების ლიდერები ხელისუფლებამ დააპატიმრა. გამოძიებამ 145 ადამიანი დააკავა. ისინი, ძირითადად, არისტოკრატული წრეებიდან გამოსული ახალგაზრდა ოფიცრები იყვნენ. ამის შემდეგ, გასაკვირი არაა, რომ საზოგადოებას ხალისი ჰქონდა დაკარგული ყველაფრის მიმართ და დათრგუნული იყო.

ცნობილი ქართული რომანტიკოსები. ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელია **ნიკოლოზ ბარათაშვილი** - ქართველი პოეტი. მისი ერთ-ერთი ცნობილი ლექსია „მერანი”, სადაც იგი გადმოსცემს სიყვარულით გამოწვეულ განცდებს, დარდს, სევდის განცდას და მრავალ სხვა თემას. ბარათაშვილის მასწავლებელი იყო სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ბარათაშვილმა ახალი სტილებისა და ფორმების ექსპერიმენტებით გაამდიდრა ქართული პოეზია. მისი შემოქმედება მნიშვნელოვანი იყო ქართული რომანტიზმის განვითარებაში და დღემდე ინარჩუნებს შთაგონების წყაროს ქართველებისთვის.

ალექსანდრე ჭავჭავაძე - ცნობილი ქართველი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც მიიჩნევა ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ წამყვან წარმომადგენლად. მისი ის ლექსები, როგორიცაა „მოსწავლე“ და „დიდება“, ასახავს ეროვნული იდეების, ბუნების სილამაზისა და ადამიანის შინაგანი განცდების თემებს. ალექსანდრე ჭავჭავაძე აქტიურად მონაწილეობდა ქართული კულტურის და განათლების განვითარებაში, იყო ქართული თეატრის და ჟურნალების ერთ-ერთი უპირველესი დამფუძნებელი.

გრიგოლ ორბელიანი - ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე და მწერალი. იგი ცნობილი გახდა თავისი ლექსებით, რომლებიც ეროვნული სულისკვეთებითა და ბუნების სილამაზით იყო შთაგონებული. ორბელიანის შემოქმედებაში ასახულია ისტორიული, კულტურული და სოციალური თემები, რაც იმ დროის ქართული საზოგადოების საჭიროებებს პასუხობდა. იგი ასევე იყო ქართული კულტურის და განათლების აქტიური მხარდამჭერი, რაც მისი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

თბილისში არ არსებობდა საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც ადამიანის ფორმირებას შეუწყობდა ხელს - არ იყო თეატრი, კლუბი, გაზეთი, სამაგიეროდ იყო იმდროინდელი დროსტარება, ერთად სადილი ან საღამოობით შეკრებები. ერთი სიტყვით, თბილისში, ცნობილი სალაყბოს ერთადერთ ალტერნატივად რჩებოდა წარჩინებულ ოჯახებში სალონური შეკრებები და ხელოვნებაზე და საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობა. სწორედ ასეთ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩაეყარა საფუძველი ქართულ რომანტიზმს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული საზოგადოებას შეადგენდა თავადაზნაურობა, ქალაქის მოსახლეობა, ვაჭრები, წვრილი მეწარმეები და გლეხობა. თუმცა, 1838 წლიდან მოისპო უფლებრივი განსხვავება თავადებსა და მათ ყოფილ სათავადო აზნაურებს შორის და მოხდა მათი უფლებრივი ნიველირება, რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო საქართველოში მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის მოსპობით და მსხვილი ფეოდალების დაკნინებით. ასეთი პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო ყოველივე ქართულის, ეროვნულ-ტრადიციულის ამოძირკვა და მისი რუსულით ჩანაცვლება.

ამ პერიოდში, ქართველი გლეხობა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობით არ იყო ერთგვა-

როვანი. ქართული სამეფოს გაუქმების შემდეგ სამეფო და საუფლისწულო გლეხები რუსეთის სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებად გადაიქცნენ. ამ პერიოდში საქართველოში რიცხობრივად ჭარბობდა საბატონო გლეხები, შემდეგ მოდიოდნენ სახელმწიფო გლეხები და ბოლოს საეკლესიო გლეხები.

რაც შეეხება საქართველოს მრეწველობას, იგი ძირითადად წვრილ ხელოსნობაში გამოიხატებოდა, რომლის უმთავრესი ცენტრი თბილისი იყო, ხოლო მათი რაოდენობა 22 ათას ადამიანს აღწევდა. ხელოსნობა განვითარებული იყო საქართველოს სხვა ქალაქებშიც: თელავში, გორში, ქუთაისში, სიღნაღში, ახალგორში და სხვა. იმ დროს ფაბრიკებად და ქარხნებად იწოდებოდა XVIII საუკუნიდან შემორჩენილი სხვადასხვა სახის სარეწები, სამღებროები, მინისა და თოფის წამლის მწარმოებელი პატარა საწარმოები, ახტალის სამთო მანუფაქტურები, აბრეშუმის ძაფსახვევი და სხვა.

ვაჭართა ფენას რაც შეეხება, მათი საქმიანობა ინერციით, წინა საუკუნეების მსგავსად ირანთან და თურქეთთან ვაჭრობით, ჯერ კიდევ ძველი ტრადიციული მეთოდებით ხდებოდა. თუმცა, თანდათანობით საქართველოს ვაჭრები უკვე იწყებენ მოსკოვისა და ნიჟეგოროდის ბაზრებზეც გასვლას. იმ პერიოდში მაღალი იყო კონკურენცია თბილისში ადგილობრივ და უცხოელ ვაჭრებს შორის. ისინი თავიდან რუსული მმართველობის შემოღებას კმაყოფილებით შეხვდნენ, მაგრამ მას შემდეგ რაც მთავრობა გადასახადების ამოღებას შეუდგა საკმაოდ გაიზარდა უკმაყოფილება. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში ადგილობრივ ვაჭართა ფენის უმეტესობას ეთნიკური სომხები შეადგენდნენ და გაბატონებული მდგომარეობაც ეკავათ.

ქართველი ინტელიგენციის ნაწილი მაშინვე მიეყიდა იმპერიის ხელისუფლებას და მათ ერთგულ მსახურად გადაიქცა. თუმცა, არსებობდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ინტელიგენციის პატრიოტული ფრთაც, რომელმაც ეს საპატიო ტვირთი ღირსეულად ატარა XX საუკუნის 80-იან წლებამდე.

დასკვნა

XX საუკუნის 80-იან წლების ბოლოდან მკვეთრად გართულდა დაპირისპირება ინტელიგენციასა და „დაბადების“ პროცესში მყოფ ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებს შორის. ასეთი დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ერის წინამძღოლობასა და პატრონობაში პირველობას ჩვეული ინტელიგენცია ამ ლიდერობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგა. შესაბამისად, რუსეთის იმპერიის სინამდვილეში შექმნილი ინტელიგენციის ინსტიტუტი მალე ისტორიას უნდა ჩაბარებოდა და ერის საპატრონოდ, ისტორიას ასპარეზზე პროფესიონალი პოლიტიკოსები და პოლიტიკური ძალები გამოჰყავდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგა ლომიძე. ქართული რომანტიზმი: ტექსტი და კონტექსტი. ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში (შუასაუკუნეებიდან პოსტსაბჭოთა ეპოქამდე), ნაწილი II, თბილისი, 2016 ;
2. ზაზა აბზიანიძე. ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, თბილისი, 2012, 196 გვ;
3. თევზაძე გ. სოლომონ დოდაშვილი. 1-ლი გამოცემა, თბილისი, „დიოგენე“ 2005
4. იუზა ევგენიძე, ვლადიმერ მინაშვილი. ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1980, გვ. 270;
5. კაციტაძე კ., ჯამბურია კ. ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი. ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები. თბილისი, 2012;
6. მარიამ საჯაია. რომანტიზმის დაბადება და მისი საფუძვლები. თბილისი, 2017
7. ნოდარ ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი, 1999, გვ 316;
8. ჰენრი კუპრაშვილი. „დიდი რუსიანობა“ საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011.

REFERENCES:

1. Gaga Lomidze. Georgian Romanticism: text and context. History in the Prism of International Literary Processes. From the Middle Ages to the Post-Soviet Era), Part II, Tbilisi, 2016.
2. Zaza Abzianidze. Georgian Romanticism - National and International Boundaries, Tbilisi, 2012, 196 pages.
3. Tevzadze G. Solomon Dodashvili. 1st Edition, Tbilisi, 'Diogene,' 2005.
4. Iuza Evgenidze, Vladimir Minashvili. Georgian Romantics on Literature and Art. Tbilisi, TSU Publishing House, 1980, p. 270.
5. Katsitadze K., Jamburia K. Historical-Cultural Context of Georgian Romanticism. Georgian Romanticism - National and International Boundaries. Tbilisi, 2012.
6. Mariam Sajaia. The Birth of Romanticism and Its Foundations. Tbilisi, 2017.
7. Nodari Chitanava. Social-Economic Problems of the Transitional Period. Tbilisi, 1999, p. 316.
8. Henry Kuprashvili. 'Great Russianness' in Georgia (First Half of the 19th Century). Publishing House 'Universali,' Tbilisi, 2011.

SOCIAL-ECONOMIC AND POLITICAL CONTEXTS OF GEORGIAN ROMANTICISM

Revaz Asatiani,
LEPL Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician-Secretar,
Guram Rogava
lawyer, economist, doctor of economic sciences,
Elizabeth Gadzadze, intern

RESUME

The given article explains Georgian Romanticism, its period of origin, and its influence not only on various directions of art (painting, music, architecture, etc.) but also on the socio-economic and political situation of the country. The article discusses the forms of Romanticism's manifestation in Georgia, which were conditioned by several processes, including geopolitical occasions and socio-economic determinants.

Specific preconditions that influenced the formation of Georgian Romanticism are analyzed. In particular, the abolition of Georgia's statehood in 1801; the 1804 rebellion in Mtiuleti; the 1812 peasant uprising in Kakheti; the 1819 uprising in Imereti; the abolition of the autocephaly of the Georgian Church and others

The article discusses the socio-economic and political situation of Georgia in the first half of the XIX century when the Georgian society was composed of the nobility, urban population, merchants, small entrepreneurs, and peasants. Their unbearable economic situation and the desire to fight for the country's freedom somewhat determined the emergence of outstanding representatives of Georgian Romantics, who used their creativity as a weapon against the governance of the Russian Empire, which served to restore Georgia's political independence and improve the socio-economic situation of the country.

Keywords: Romanticism, statehood, rebellion, independence, social life,nobility, small entrepreneurs, economic condition, taxes.